



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 26 ივნისი

**დისციპლინური საქმე №63/21
-- -- მიმართ**

დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

2021 წლის 3 ივნისს -- -- საჩივარი წარადგინა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში, სადაც მიუთითა -- -- მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა“. ამავე მუხლით განსაზღვრულია გადაცდომათა ის კონკრეტული სახეები, რომლებიც შესაძლოა გახდეს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა -- --, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს მომართა საჩივრით, -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნით.

ვინაიდან -- -- არ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას და იგი არ არის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის სუბიექტი, დამოუკიდებელი ინსპექტორი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ზემოაღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების კანონით განსაზღვრული საფუძვლის არარსებობის გამო.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ და 75¹² მუხლებით და

გ ა და წ ყ ვ ე ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №63/21 -- -- მიმართ არ განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი**